ტბელ აბუსერისძის ქანდაკების საუკეთესო ესკიზის გამოვლენისა და მის საფუძველზე საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვის

საკონკურსო კომისიის ოქმი №5-3

ქ. ბათუმი **25 სექტემბერი 2014 წ.**

სხდომას ესწრებოდნენ:

ირაკლი ახალაძე - საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე (სხდომის თავმჯდომარე) - ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურისა და ურბანული დაგეგმარების სამსახურის უფროსი;

ლამზირა ბოლქვაძე - საკონკურსო კომისიის წევრი - ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის ადმინისტრაციის განათლებისა და კულტურის განყოფილების უფროსი;

ელგუჯა ხაზარაძე - საკონკურსო კომისიის წევრი - ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურისა და ურბანული დაგეგმარების სამსახურის მთავარი სპეციალისტი - მხატვარი;

ნინო ბერაძე - საკონკურსო კომისიის წევრი - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;

ვახტანგ ღლონტი - საკონკურსო კომისიის წევრი - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მრჩეველი;

მაია ჭიჭილეიშვილი - საკონკურსო კომისიის წევრი - ხელოვნებათმცოდნე;

დუგლას ზამთარაძე - საკონკურსო კომისიის წევრი - არქიტექტორი.

სხდომას არ ესწრებოდნენ:

ალექსანდრე მითაიშვილი - საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე - ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე;

ნინო ინაიშვილი - საკონკურსო კომისიის წევრი - ისტორიკოსი, არასამთავრობო ორგანიზაცია „ბათუმი“;

ზვიად ბურჭულაძე - საკონკურსო კომისიის წევრი - არქიტექტორი;

დღის წესრიგი: ქ. ბათუმში, ფრიდონ ხალვაშის გამზირისა და აეროპორტის გზატკეცილის შეერთებასთან მიმდებარედ არსებულ წრიულ სკვერში განსათავსებელი ტბელ აბუსერისძის ქანდაკების საუკეთესო ესკიზის გამოვლენისა და მის საფუძველზე საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის საკონკურსო დოკუმენტაციის განხილვა და დამტკიცება.

მოისმინეს: საკონკურსო კომისიის წევრმა - ლამზირა ბოლქვაძემ საკონკურსო კომისიას წარუდგინა საკონკურსო განცხადების პროექტი, საკონკურსო პირობები და თანდართული დოკუმენტები.
საკონკურსო კომისიის წევრებმა განიხილეს წარმოდგენილი განცხადება და თანდართული დოკუმენტები, რომელიც შეესაბამება „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანების მოთხოვნებს.

კომისიამ დაადგინა: 1. დამტკიცდეს ქ. ბათუმში, ფრიდონ ხალვაშის გამზირისა და აეროპორტის გზატკეცილის შეერთებასთან მიმდებარედ არსებულ წრიულ სკვერში განსათავსებელი ტბელ აბუსერისძის ქანდაკების საუკეთესო ესკიზის გამოვლენისა და მის საფუძველზე საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე საკონკურსო განცხადება.

2. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის აპარატის შესყიდვების განყოფილებას (ვ. ხინთიბიძე) ეთხოვის წინამდებარე ოქმისა და საკონკურსო დოკუმენტაციის გაგზავნა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთვის მის ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნების მიზნით.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე (სხდომის თავმჯდომარე): ირაკლი ახალაძე

საკონკურსო კომისიის წევრები: ლამზირა ბოლქვაძე

ელგუჯა ხაზარაძე

ნინო ბერაძე

ვახტანგ ღლონტი

მაია ჭიჭილეიშვილი

დუგლას ზამთარაძე